

1994 წლის 4 მარტი - გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 901 (1994)

უშიშროების საბჭო,

ადასტურებს რა თავის 1993 წლის 9 ივლისის 849, 1993 წლის 6 აგვისტოს 854, 1993 წლის 24 აგვისტოს 858, 1993 წლის 19 ოქტომბრის 876, 1993 წლის 4 ნოემბრის 881, 1993 წლის 22 დეკემბრის 892 და 1994 წლის 31 იანვრის 896 რეზოლუციებს,

აღნიშნავს რა გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის 1994 წლის 28 თებერვლის წერილს (შ/1994/234) უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის სახელზე, რომელიც ერთვოდა პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის განცხადებას,

აღნიშნავს რა, აგრეთვე 1994 წლის 7 მარტს ნიუ-იორკში იმ მოლაპარაკებათა განახლებას, რომლებიც მიმდინარეობდა ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის 1994 წლის 22-დან 24 თებერვლამდე შენევაში,

დაბეჯითებით მოუწოდებს რა მხარეებს, რაც შეიძლება მალე მიადწიონ არსებით პროგრესს პოლიტიკური მოწესრიგების იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებიც მოცემულია მის წინა რეზოლუციებში, რათა უშიშროების საბჭომ შეძლოს ჯეროვნად განიხილოს საკითხი აფხაზეთში, საქართველოს რესპუბლიკა, სამშვიდობო ძალთა შესაძლო განლაგების შესახებ,

1. იღებს გადაწყვეტილებას გაუგრძელოს მანდატი საქართველოში გაეროს მისიას დამატებითი საშუალებო პერიოდით, რომელიც დამთავრდება 1994 წლის 31 მარტს.

2. სთხოვს გენერალურ მდივანს 1994 წლის 21 მარტისათვის წარუდგინოს საბჭოს მოხსენება მოლაპარაკებებზე მიღწეულ ნებისმიერ პროგრესსა და ადგილზე მდგომარეობის შესახებ, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებებს, რომლებიც შესაძლოა საფუძვლად დაედოს სამშვიდობო ძალების განლაგებას და ასეთ ძალთა შექმნის ფორმებს.

3. ადგენს აქტიურად გააგრძელოს მუშაობა ამ საკითხზე.